

შპს „ბორჯომი ცენტრალი“ ჯგუფის

2024 წლის

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება


შინაარსი

2024 წლის მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება	3
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება 2024 წლის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	4
1. ზოგადი ინფორმაცია	5
2. მომზადების საფუძველი	5
3. სამუშაო და წარსადგენი ვალუტა	5
4. შემოსავალი	6
5. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	6
6. ძირითადი საშუალებები	7
7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8
8. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	8
9. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	8
10. გადასახადები	8
11. დაკავშირებული მხარეები	8
12. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა და შეფასებები	9
(ა) შემოსავალი	9
(ბ) სხვა ხარჯები	9
(გ) ძირითადი საშუალებები	9
(დ) სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10
(ე) სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10
13. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	10


2024 და 2023 წლების მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
კონსოლიდირებული საქმიანობის შედეგები

ლარი	შენიშვნა	2024	2023
შემოსავალი		1115768	1094361
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(683440)	(623461)
საერთო მოგება		432328	470900
სხვა შემოსავალი		73647	14693
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი		(236906)	(291616)
არასაოპერაციო ხარჯი		(33994)	(12594)
სხვა შემოსულობები		0	0
ფინანსური ხარჯი		0	(2551)
საოპერაციო მოგება/ზარალი		235075	178832
ფინანსური შემოსავალი		45281	50047
მიმდინარე პერიოდის შემოსავალი		280356	228879
მოგების გადასახადი		0	0
საანგარიშო პერიოდის მოგება/ზარალი		280356	228879
შვილობილი კომპანიის მოგება/ზარალის წილი		105541	153725
სულ წლის სრული შემოსავალი		385897	382604
მშობელი საწარმოს მესაკუთრეების მთლიანი შემოსავალი		280356	228879
არამაკონტროლებელი წილების მთლიანი შემოსავალი		105541	153725
სულ წლის სრული შემოსავალი		385897	382604

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 18 სექტემბერს და მისი სახელით ხელი მოაწერეს.


გენერალური დირექტორი
გიორგი ჯაფარიძე





მთავარი ბუღალტერი
ნინო შალუტაშვილი

მოგება ან ზარალისა და სხვა შემოსავლის ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნას მასზე დართულ განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს და წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების გვერდებზე 8-10.

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ლარი	0	31.12.24	31.12.23	31.12.22
აქტივები				
მიწა		60000	60000	60000
ძირითადი საშუალებები		891050	959247	604799
არამატერიალური აქტივები		26274	21351	4663
გუდვილი		84704	112939	141174
სულ გრძელვადიანი აქტივები		1062028	1153537	810636
მიმდინარე აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		437089	409550	302391
ფული და ფულის ეკვივალენტები		725897	59562	235218
მარაგები		206235	117578	98733
სესხებად გაცემული ფულადი სახსრები		364884	672350	675500
სხვა მოკლევადიანი აქტივები (საგადასახადო ზედმეტობა)		24762	0	18692
სულ მიმდინარე აქტივები		1758867	1259040	1330534
სულ აქტივები		2820895	2412577	2141170
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები				
საწესდებო კაპიტალი		0	0	0
არამაკონტროლებელი წილი		189573	84032	(69693)
გაუნაწილებელი მოგება		1801244	1520888	1292009
სულ საკუთარი კაპიტალი		1990817	1604920	1222316
ვალდებულებები				
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები		293540	165824	147940
მესაკუთრეებისგან ნასესხები თანხები		536538	638910	481800
სხვა ნასესხები თანხები		0	0	289114
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება		0	2923	0
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		830078	807657	918854
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		2820895	2412577	2141170

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 18 სექტემბერს და მისი სახელით ხელი მოაწერეს:

გენერალური დირექტორი
გიორგი ჯაფარიძენ. შერეაშვილი
მთავარი ბუღალტერი
ნინო შალუტაშვილი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნას მასზე დართულ განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ და წარმოდგენილია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გვერდებზე 8-10.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ბორჯომი ცენტრალი“ ჯგუფი რეგისტრირებული არის “მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის” შესაბამისად, რომელიც დარეგისტრირდა 2012 წლის 11 იანვარს.

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თბილისი, ვაკის რაიონი ჭავჭავაძის გამზირი N27/29 ბ.15. კომპანიის რეგისტრაციის ნომერია: 404925382; მისი შვილობილი კომპანიაა შპს „მშენებელი 2004“, სადაც ის ფლობს 30% წილს. კონსოლიდაციის თარიღია 2022 წლის 15 დეკემბერი.

კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის საკუთარი ან იჯარით აღებული არასაცხოვრებელი შენობების გაქირავება და მართვა. მისი შვილობილი კომპანიის საქმიანობაა ცემენტის წარმოება.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს „ბორჯომი ცენტრალი“ ჯგუფის 100% წილის მფლობელია ჯემალ გიგუაშვილი.

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ამაგდროულად გაკეთებულია ისეთი შეფასებები და დაშვებები, რომლებიც გავლენას ახდენენ ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკების გამოყენებასა და ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების ოდენობაზე. შეფასებები და დაშვებები რეგულარულად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილების აღიარება ხდება შეფასების პერიოდში და ნებისმიერ მომავალ პერიოდში, რომელზედაც მოქმედებს ამგვარი ცვლილება.

3. სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

კომპანიის სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისთვის წარსადგენი ვალუტა არის ქართული ლარი.

ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს ლარამდე.

4. შემოსავალი კონსოლიდაცია

ლარი	2024 წ.	2023წ.
იჯარის შემოსავალი	187102	175471
წყლის შემოსავალი	5185	3770
ელექტრო ენერგიის შემოსავალი	21785	20291
შემოსავალი დასუფთავებიდან	1200	1200
შემოსავალი რეალიზაციიდან	900496	893629
სხვა	0	0
არასაოპერაციო შემოსავალი	73647	14693
საპროცენტო შემოსავალი	45281	50047
სულ შემოსავალი	1234696	1159101

5. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი კონსოლიდაცია

ლარი	2024 წ.	2023წ.
გაყიდვების თვითღირებულება	683440	623461
შრომის ანაზღაურება	63422	76636
ბანკის %	282	291
საიჯარო ქირა	2780	32329
დაზღვევა	1660	1919
საპენსიო ფონდი	1059	744
კომუნალური გადასახადები	69413	76076
ცვეთა და ამორტიზაცია	49745	45839
საგადასახადო ხარჯი	5394	5141
საწვავი	24566	30261
რემონტის ხარჯი	6542	11414
დაცვა	608	1058
იურიდიული მომსახურეობა	0	1853
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯი	1607	0

მცირეფასიანი და სწრაფცვეთიანი საქონელი	2983	0
კომუნიკაციის ხარჯები	570	0
გარემოს დაცვა	767	0
სხვა	5508	8055
არასაოპერაციო ხარჯი	33994	12594
საპროცენტო ხარჯი	0	2551
სულ	954340	930222

შენიშვნა: 2024 წლის 1) კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშში არასაოპერაციო შემოსავლიდან და არასაოპერაციო ხარჯიდან ამოღებულია კურსთაშორის სხვაობა მშობელი საწარმოს მოგებიდან და შვილობილი საწარმოს ხარჯიდან შესყიდული წილის პროპორციულად 3370 ლარი და 2) კონსოლიდირებულ ბალანსში აქტივებიდან და ვალდებულებებიდან ამოღებულია მშობელი საწარმოს მიერ შვილობილ ორგანიზაციაზე გაცემული სესხი 356210 ლარი.

6. ძირითადი საშუალებები კონსოლიდაცია

ლარი	წმინდა საბალანსო ღირებულება 2024 წლის 1 იანვარს	ძირითადი საშუალების შემოსვლა	შვილობ. ცვეთის არამაკ. წილი	კონსოლ. ცვეთის ხარჯი	წმინდა ლირ. 2024 წლის 31 დეკემბერს
შენიშნა ნაგებობა	414066	0	9113	3906	401047
მიწა	60000	0	0	0	60000
სატრანსპორტო საშუალებები	242554	0	16978	7277	218299
ინვენტარი	32341	0	1802	2092	28447
არამატერიალური აქტივი	21351	5051	0	128	26274
მანქანა-დანადგარები	270286	0	18920	8109	243257
სულ ძირითადი საშუალებები	1040598	5051	46813	21512	977324

შენიშვნა: ძირითადი საშუალების ცხრილში წარმოდგენილია ცალ-ცალკე სვეტად: 1) კონსოლიდირებული ცვეთის ხარჯი, რომელიც შედგება მშობელი ორგანიზაციის წლიური ხარჯისა და შვილობილის წლიური ხარჯის 30%-ის ჯამისგან, რაც შეტანილია მოგება-ზარალის ანგარიშში, ხოლო 2) შვილობილი ორგანიზაციის ცვეთის დანარჩენი წილი წარმოდგენილია არამაკონტროლებელი წილის სვეტში, რაც შედის მოგება-ზარალის ანგარიშში არამაკონტროლებელი წილის თანხაში.

სვეტში ძირითადი საშუალების შემოსვლა - ნაჩვენებია 2024 წლის განმავლობაში მშობელი და შვილობილი ორგანიზაციების მიერ შეძენილი ძირითადი საშუალებების ჯამი.

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

კონსოლიდაცია

ლარი	2024წ.
სავაჭრო მოთხოვნები	437089
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	364884
სხვა მოკლევადიანი აქტივები (საგადასახადო ზედმეტობა)	24762
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	826735

8. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

კონსოლიდაცია

ლარი	2024წ.
მოწ. და მომსახ. წარმოქმნილი ვალდებულებები	293540
სხვა ნასესხები თანხები	0
მესაკუთრეებისგან ნასესხები თანხები	536538
საგადასახადო ვალდებულებები	0
სხვა ნასესხები თანხები	0
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	830078

9. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

კონსოლიდაცია

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს სალაროში და ფულს საბანკო ანგარიშებზე.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბანკო ანგარიშებზე ირიცხებოდა 633800 ლარი, ხოლო სალაროში 92097 ლარი, სულ 725897 ლარი.

10. გადასახადები

კონსოლიდაცია

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვარს.

2016 წლის 1 იანვრიდან ყველა გადასახადის ანგარიშსწორება ხდება ერთიან სახელმწიფო საბაზინო ანგარიშზე. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის კონსოლიდირებული საგადასახადო ზედმეტობა შეადგენდა 24762 ლარს.

11. დაკავშირებული მხარეები

კონსოლიდაცია

(ა) ოპერაციები წამყვან ხელმძღვანელობასთან

(ი) წამყვანი ხელმძღვანელობის ანაზღაურება

წამყვანმა ხელმძღვანელობამ წლის განმავლობაში მიიღო შემდეგი ანაზღაურება:

ლარი	2024 წელი
ხელფასები და სხვა სარგებელი	63422

12. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა და შეფასებები

(ა) შემოსავალი

შპს ბორჯომი ცენტრალი ჯგუფის ძირითადი საქმიანობა არის საკუთარი ან იჯარით აღებული არასაცხოვრებელი შენობების გაქირავება, მართვა და ცემენტის წარმოება.

ამონაგების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდის მიხედვით,

(ბ) სხვა ხარჯები

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებას ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარ არის მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს. თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

(გ) ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით, თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ შეფასება. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სხვა სახის დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებასა, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს

სასარგებლო მომსახურების პერიოდი და ცვეთის მეთოდი გადაიხედება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ღირებულების ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, პერსპექტიულ საფუძველზე. იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალებების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად.

(დ) სავაჭრო და სხვა მოთხოვნები


რეალიზაცია, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება-ზარალში.

(ე) სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.


13. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ აღგზილი არ ჰქონია მნიშვნელოვან მოვლენებს.



გენერალური დირექტორი
გიორგი ჯაფარიძე





მთავარი ბუღალტერი
ნინო შალუტაშვილი